ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1919 Წ. № 82

ᲠᲔᲠᲝᲠᲗᲐ

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲠᲔᲠᲝᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. № 24.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 16—62.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: 1 თვით 25 [illegible] ნომერი ყველგან 1 მანეთი, [illegible] სი როგორც პირველ გვერდზე, ისე [illegible] პეტიტის სტრიქონი—2 შან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

„ერთობის უბნის“ სახალხო გვარდიის შტაბი და გვარდიელები აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
გვარდიელი
პონსტანტინე (კოტე) მიხეილის ძე დიღმელოვი
პანაშვიდი პარასკევს, 29 მარიამობისთვეს საკუთარ სახლში. (სამოვოლნი ქუჩა, № 56), დაკრძალვა შაბათს, 30 მარიამობისთვეს.

ხუთშაბათს 28 აგვისტოს ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი
დავით ქრისტეფორის ძის სულხანიშვილის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს
უზომოდ დამწუხრებულნი განსვენებულის მეუღლე ნინო დიმიტრის ასული, დედა სალომე ივანეს ასული, ძმები: ალექსი და მიხეილ ქრისტეფორის ძენი, შვილები: გიორგი, შაქრო და სოფიო სულხანიშვილები და ცოლის და მარიამ დიმიტრის ასული ჩუგუნიძისა. წირვის დასაწყისი 10 საათზედ.

გულდათუთქული დედა თებრონე და ძმები ნიკოლოზ და გიორგი ურუშაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 აგვისტოს, ხუთშაბათს, 1 საათზე, ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფასი შვილის და მეორენის დაუვიწყარი ძმის,
უდროოდ დაკარგული სტუდენტი
ვასო სიმონ ძე ურუშაძის
სულის მოსახსენებლად (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მამა ბებური. მაქსიმეს ძე ჭკუასელი, დედა სადიკო, ძმები: ვლადიმერი და სერგო, დები: კესა, პელაკი და ნინო, რძალი პაშა, სიძეები: მიხეილ გორგაძე და მელიტონ ხუნდაძე ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე გადახდილ იქნება წლის თავის პანაშვიდი დაუვიწყარ
სიმონ გეგურის ძე ჭკუასელის
სულის მოსახსენებლად საგვარეულო ეკლესიაში ს. კალაგონში (გურია)

მწუხარებასა შინა მყოფნი ძმები: იოსებ, ნიკო, და ივანე აუწყებენ ნათესავთ ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 28 აგვისტოს სოფ. დვაბზუში დღის 12 საათზე გადახდილი იქნება წლის თავის პანაშვიდი გმირულად დაკარგულის აჩმეძმახის მთაზე სახალხო გვარდიის პოლუჩიკის
სამსონ გრიგოლის ძე ღლონტის
ხსოვნის აღსანიშნავად,

სოფელი და გადასახადები

გადასახადები წელს პირველათ შემოდის ჩვენს ცხოვრებაში რევოლიუციის შემდეგ. სამი წელიწადია ხალხს არაფერი გაუღია, იგი თითქმის შეეჩვია, რომ მას ემსახურონ, მიაწოდონ წესიერება და წესიერების დამცველნი. სკოლა, ექიმობა და სხვა, მაგრამ ყველა ამისთვის საკმაო ხარჯების გაღება ძალიან ეჩოთირება. ეჩოთირება მით უმეტეს, რომ ერთი მხრით ბევრმა თავისუფლება გაიგო, როგორც თავისუფლება ყოველგვარ მოვალეობისაგან.

ძველმა რეჟიმმა იცოდა ხალხის მოვალეობა და უარყოფა ხალხის უფლებების. ამ უკუღმართობისაგან თავის დაღწევის შემდეგ ფორმულა შეტრიალდა. მოვალეობა უარყოფილია, უფლება-აღიარებული, როგორც აუცილებელი და შეუზღუდველი კუთვნილება ყოველ ადამიანის. ხოლო ნამდვილი შეგნება დემოკრატიულ წყობილებაში უფლება მოვალეობის გათანასწორებისა—დღესაც კიდევ საყოველთაო შეგნებათ არ არის გადაქცეული.

ამ ნიადაგზე დიდი გასავალი მიეცა უპასუხისმგებლო პირთა აგიტაციას და თავზე ხელ აღებულ ზოგიერთ ანარქიულ ჯგუფების მოქმედებას თითქოს ერთგვარი თანაგრძნობის ატმოსფერა შემოეხვა გარშემო.

სოფელი განსაკუთრებით იოლათ წამოეგო ბეგრგან პროვოკაციის ანკესზე. მისმა შედარებით ნაკლებმა შეგნებამ მისცა საფუძველი ყოველგვარ ჭორებს და ინსინუაციებს.

მთავრობას თითქოს ფული აქვს და მაინც უნდა ხალხი გაცარცვოს. გადასახადების გაღება—ანტიდემოკრატიულიაო, ამტკიცებენ ეს ვაჟბატონები. ჩვენ ვიცით, რომ გადასახადები უნდა გადახდეს უმთავრესათ შეძლებულ წრეებს და მცირედი ნაკლები შეძლების პატრონთ, მაგრამ განა სხვა ნიადაგზეა ჩვენი გადასახადების სისტემა აგებული? სრულიადაც არა, პირიქით, დამფუძნებელმა კრებამ დაბეგრა პირველ ყოვლისა ვაჭარ-მრეწველნი, დიდი ქონების და თანხის პატრონები და მხოლოდ შემდეგ დაადვა გადასახადი სოფელსაც.

მართალია სოფლის გადასახადი გაეწერა მიწას, მაგრამ ეს იმიტომ, რომ სხვა გვარათ სოფლის შემოსავლის გაგება შეუძლებელია. ვაჭარ-მრეწველს საანგარიშო წიგნები აქვს და ვალდებული არიან მოგება ზაგების სრული ანგარიშია წარმოვონ, წინაალმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან. მათი შემოსავლის ანგარიში შეიძლება გავიგოთ, გამონაკლისთა მხოლოდ ზოგიერთი დარგი სპეკულიანტებისა, რომელნიც ფულს ისეთ დარგებში ატრიალებენ, რომ ანგარიშის წარმოებას გაურბიან.

მაგრამ სოფლის კაცის შემოსავალი დაახლოვებით შეიძლება გაიზომოს მიწის რაოდენობით.

აი ამიტომ სოფელს დაედვა გადასახადი მიწის რაოდენობის მიხედვით:

ამით კანონმდებელს სურდა მდიდრისთვის მეტი გადაეხდევინებინა, ღარიბისთვის ნაკლები: საერთოთ სოფელს ნაკლები გადასახადი რგებოდა, ქალაქს მეტი ეს ასეც მოხდა. მარტო თფილისს აქვს გადასახადი 300 მილიონამდე საერთოთ, და ამათში მარტო სახელმწიფო გადასახადები, პატენტი და სხვა აღწევს 230 მეტ მილიონ მანეთს, დანარჩენი ქალაქის თვითმართველობისაა.

სოფელს კი სულ აქვს 60 მილიონამდე გადასახადი მთელ საქართველოში. მაშასადამე 4-ჯერ ნაკლები მარტო თფილისზე.

შეიძლება საერთოთ ეს გადასახადები მძიმე იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ სახელმწიფო მეტათ დავალიანებულია. სამი წელიწადია ის რევოლიუციის ქარ ცეცხლში ტრიალებს და დღემდე ხალხიდან ფული არ აუღია. ამან გამოიწვია სხვათა შორის აუცილებლობა ფულების დაბეჭდვის. და მათი ფასის დაცემა ამის შედეგია.

გადასახადი მაშასადამე სახელმწიფოს საქმეს გამოასწორებს და ამით ყველა მოქალაქეს სარგებლობას მოუტანს.

წლევანდელი გადასახადი ერთდროულია, ესე იგი მხოლოდ ამ ერთი წლისთვის არის იგი დაწესებული. მაშასადამე ყოველწლიურათ, მაგალითათ გაისათ იგი არ განმეორდება, საჭიროების და გვარათ იგი შეიცვლება, შემცირდება, განაწილება გადასახადებისა მდიდარს ღარიბებ შორის უფრო სამართლიანად გამოეწყობა. ერთი სიტყვით დამფუძნებელი კრება ამ შემთხვევაში მხოლოდ ხალხის კეთილდღეობით და რევოლიუციის ინტერესებით ხელმძღვანელობდა.

და ყოველი დემოკრატი, ყოველი მოქალაქე, ვალდებულია ამას ანგარიში გაუწიოს. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ დემოკრატიულ წყობილებაში მათ აქვთ, როგორც უფლება, ისე მოვალეობა. მათ აქვთ უფლება სახელმწიფოს მოწყობაში, მის არჩევაში და სხვა მონაწილეობა მიიღოს. მათ აწევს მოვალეობა ეს დაწესებულებანი შეინახონ, ასაზრდოვონ და ამით დემოკრატიული წყობილება გაამაგრონ. არ არის უფლება უმოვალეობოთ და მოვალეობა, უუფლებოთ. აი ეს არის დემოკრატიზმი.

ეს ერთი მოვალეობათაგანი—გადასახადის გაღებაა სახელმწიფოს შესანახად. რასაკვირველია, მდიდარს მეტი უნდა გადახდეს, ღარიბს ნაკლები. მაგრამ ეს პრინციპი სავსებით დაცულია დამფუძნებელი კრების გამოცემულ კანონით. ახლა სიტყვა ხალხს ეკუთვნის. ის არ უნდა აჰყვეს იმ პირთა განგაშს, რომლებსაც არევ დარევა აქვთ მიზნათ დასახული.

ხალხმა შექმნა ჩვენი რესპუბლიკა, ხალხმა შექმნა მისი მთავრობა და დამფუძნებელი კრება, ხალხია მისი შემნახველი და ძირის გამმაგრებელი.

აი ამ უბრალო ჭეშმარიტების შეგნება და მისი ცხოვრებაში გატარება შეადგენს დღეს დემოკრატიის მოვალეობას.

არა მკითხე დამცველი

„სახალხო საქმე“-ს თანამშრომლები ეს ერთი ხანია კოოპერაციით ირთობენ თავს ტ გზა და გზა ჩვენს ადრესზე ვარჯიშობენ.

ამ ვარჯიშობაში დღემდე პირველი ადგილი ეჭირა ბ-ნ თედო ღლონტს, რომელსაც, როგორც ვიცით, არას დროს თავის საკუთარი აზრი არ ჰქონია და მისი „აზრთა დომხალი“ საერთოდ ცნობილი გახდა. მისი დაფნის გვირგვინი ეტყობა მოსვენებას არ აძლევს „სახალხოს“ მეორე თანამშრომელს ბ. დადვაძის და აი ისიც წელებზე ფეხს იდგამს, რომ თავისი გრძელი წერილებით მკითხველის ყურადღება მიიპყრას. მისი ამპლუაა კოოპერატივზე და სასურსათო საკითხებზე წერა და უნდა ნახოთ ცოდნის როგორი პრეტენზიებით წერს! და ისეთი აპლომბით ათამაშებს სტრიქონებს, რომ გეგონებათ—ამ კაცს ისე შესწავლილი აქვს ეს კითხვები, როგორც ორი და ორიო. მარა საკმარისია გულდასმით წაიკითხოთ მისი გრძელი იერემიადა, რომ შიგ დიდის—ვაი-ვაგლახით ორი თუ სამი პაწაწკინტელა აზრი იპოვოთ.

ამ ხელათ ბ. დადვაძე ოფლს ღვრის ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის დაცვაზე. და მერე იცით ვისგან? სოციალ-დემოკრატებისაგან. არა, დიდი ხუმარა კაცი უნდა იყოს ბ. დადვაძე! მოდი და ნუ გაგეცინება! ჩვენი დაარსებული კოოპერატივები, ჩვენი შექმნილი კავშირი, ჩვენი ამხანაგების მიერ ნაშრომი და ნაღვაწი კოოპერატივები—ახლა თურმე დადვაძის დასაცავი გამხდარა, და ისიც ჩვენგან!

„გაზეთმა „ერთობამ“ და მისმა თანამოაზრეებმა — კოოპერაციის მოწინააღმდეგენმა (ხაზი ჩვენია) გვითხრეს და ხვა („ს. ს.“ № 608) „ერთობა“ და მისი თანამოაზრენი—კოოპერაციის მოწინააღმდეგენი! „სახალხო საქმის“ რედაქციაში რომ ვინმე ჭკვიანი კაცი იყოს, ამ სისულელისთვის ბ. დადვაძეს ორივე ყურებს აუწევდა.

ბ. დადვაძე იმავე წერილში ეკამათება რამდენიმე თვის უკან დაბეჭდილ ჩვენ წერილს და დიდი რიხით კითხულობს—„ვის წინააღმდეგ მოითხოვს „ერთობა“ მეტ სისასტიკეს?“

ჩვენ მოვითხოვდით და მოვითხოვთ კავშირისაგან „მეტ სისასტიკეს“ ყველა იმ კოოპერატივების წინააღმდეგ, რომლებიც თავის არა კოოპერატიული მოქმედებით ძირს უთხრიან თვით კოოპერატიულ იდეიას. ბ. დადვაძე კი ამას „კოოპერაციის წინააღმდეგ გალაშქრებას“ ეძახის და უკანა რიცხვით სხვა სფეროში დამნაშავის ძებნით თვით დანაშაულს გვერდს უვლის.

არ გვგონია, რომ ასეთმა დამცველმა კოოპერატივის ღირსებას რაიმე შემატოს.

განი.

ᲡᲞᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

კასპიის ზღვაზე.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით კასპის ზღვაზე არავის არ უთმობენ ინგლისელები „სლავას“, „კრიუგერს“ „პანტერს“ და სხვა გემებს. ამ გემებით ინგლისის სარდლობა ენზელში შექმნის ძლიერ საზღვაო ბაზას, საიდანაც კანტროლს გაუკეთებს გემების მოძრაობას მთელ ზღვაზე. სპარსეთზე პროტექტორატის დაწესების შემდეგ კასპიის ზღვა ფაქტიურად ინგლისის სარდლობის ხელში იქნება („ად“.).

დაღესტანში

დაღესტანში მოგზაურობს ამ ჟამად მოხალისეთა ჯარის საგიტაციო რაზმი. ეს რაზმი ავრცელებს მოხალისეთა ლიტერატურას, აწყობს სხვა და სხვა ადგილებში ლექციებს—კონცერტებს და ეწევა მხურვალე აგიტაციას მოხალისეთა სასარგებლოთ.

გენერალი პოპოვის რაზმმა დაიჭირა ისტორიული ციხე გუნიბი.

კრასნოვოდსკთან.

მოხალისეთა ჯარის მდგომარეობა კასპიის იქითა მხარეში მეტად საძნელოა. მთავარსარდლათ დანიშნული გენ. ბოროვსკი, გაეცნო რა საქმის ვითარებას, საჩქაროთ წავიდა მოხალისეთა ჯარის მთავარ ბანაკში დახმარების მისაღებათ. უკეთუ ახლო ხანში საკმაო ჯარი არ მიაშველეს მოხალისეებმა კრასნოვოდსკის დასაცავად, მას ადრე აიღებენ ბალშევიკები. კიზილ-არვატის მდგომარეობა საშიშროა—მოსალოდნელია ბალშევიკების მიერ ზურგიდან შემოვლა. ამ შემთხვევაში ძნელი იქნება, რომ კიზილ-არვატსა და ასხაბადს შუა მყოფმა მოხალისეთა ჯარმა შეს ძლოს კრასნოვოდსკთან შეერთება.

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით მომავალი სამოსწავლო წლიდან გაუქმებულია რუსული გეოგრაფიის და ისტორიის სწავლება.

23 აგვისტოს ნაშუადღევის 2 ს. ბაილოვის ციხიდან 14 ტუსაღი გაიქცა.

20 აგვისტოს ს. პოკროვკაში შესდგა მუღანის რუსთა სოფლების წარმომადგენლების კრება, რომელსაც დაესწრო გენ. სალიმოვი და გუბერნატორი მელიქ-ეგანოვი. კრებამ დაადგინა ყველა ზარბაზნების და ტყვიისმფრქვეველების ადერბეიჯანის მთავრობისთვის გადაცემა. უკვე დაიწყეს ჩაბარება.

ბაქოს ბირჟაზე უსიცოცხლოობაა. არ არის არც მოთხოვნა არც მიწოდება. სპეკულიანტებს თავზარი აქვს დაცემული. ლაჟი (ფულის დახურდავების ფასი) თანდათან კლებულობს და ახლო ხანში რუსის და ადერბეიჯანის ფულის კურსი უეცველათ გათანასწორდება. სხვადასხვა საქონელი ბაქოში რეგულიარულათ შემოდის. ფასები ჯერ კიდევ დიდია, როგორც რაოდენობა, ისე თვისება შემოზიდული საქონლისა საგრძნობია.

ᲓᲦᲔᲡ

საბჭოთა ჯარმა პსკოვი დაიბბრუნა და პეტლიურას ფრონტზე, კიევის რაიონში, ვასილკოვამდე უკან დაიხია.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ადესა უკრაინის ჯარს აუღია..

ბელგიის ჯარმა ოფიციალურად დაიჭირა ქალაქი მალმე, რომელიც ბელგიას საზავო ხელშეკრულების ძალით გადაეცა.

უმაღლესი საბჭოს ნოტის შემდეგ ჰერცერცოგი იოსები უნგრეთის სახელმწიფო საქმეებს სრულიად ჩამოშორდა

ბერლინის პრესის აზრით, ჰაბსბურგთა ბატონობას უნგრეთში ბოლო მოეღო, რაც დემოკრატიული იდეების გამარჯვების მომსწავებელია.

ადერბეიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები რუსი აფიცრები დენიკინის ბრძანებით გაწვეულნი არიან სამხედრო სამსახურში. გაწვეულნი უნდა გამოცხადდენ როსტოვში ან ტაგანროგში. პირველ დღეთ გამოცხადებისა დანიშნულია 25 აგვისტო (ძველი სტილით).

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ბათუმის გარშემო.

ამას წინად ბათუმში შესდგა ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება ბათუმში საბჭოთა მთავრობის აღიარების შესახებ.

როგორც გაზეთებშიც იყო აღნიშნული, კონფერენცია საგრძნობმა ნაწილმა დასტოვა ამბ. აიოლოს მეთაურობით; ასე რომ, „ერთსულოვნობის“ მხრით კონფერენციის დადგენილებას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. საინტერესოა ამ საგანზე დენიკინელთა გაზეთის „ნაშ კრაის“ (№ 181) აზრი.

გაზეთის თქმით—„კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე იმდენათ ერთსულოვანი თანაგრძნობა არ ყოფილა ბალშევიზმისადმი, ბათუმის მუშების მხრით, რამდენათაც გათიშვა ამ საკითხის გამო მათ შორის. აქედან აშკარაა, რომ თუ გინდ ადგილობრივმა ბალშევიკებმა შესძლონ ბათუმში ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, რამდენიმე დღის და შეიძლება, რამდენიმე საათის შემდეგ ისინი იძულებული იქნებიან ის გადასცენ რეგულიარულ ძალებს მეზობელ რესპუბლიკისას. მაგრამ კითხვა იბადება—გაუღიმებს კი ბედი ქართველებს დარჩენ აქ იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს წარსულში მოხდა და ან როგორ შეხედავენ ქართველების ბატონობას ბათუმში ოსმალები? ყველა ეს ისეთი საკითხებია, რომელზედაც პასუხს მომავალი მოგვცემს“.

ინგლისელები მიდიან. ბალშევიკები ვერ შეინარჩუნებენ ბათუმს, რადგან მას საქართველო დაიპყრობს—საქართველოს კი, გაზეთის აზრით, ოსმალეთი არ დაანებებს ბათუმს.

ამიტომ, გაზეთის აზრით,—„უკეთუ ინგლისის ჯარების წასვლა აუცილებელია, საჭიროა ზომების მიღება, რომ თავიდან აცილებულ იქნას ის საფრთხე, რომელიც ბათუმს მოელის“.

ალბათ, გაზეთს ღრმათ სწამს, რომ საფრთხეს ბათუმს თავიდან აიცდენს მხოლოდ მოხალისეთა ჯარის მიერ მისი დაჭერა.

ბათუმის ბედს ეხება აგრეთვე ბალშევიკებს „ვოლოს ტრუდა“ (№ 79). გაზეთის ვრცელი მეთაური მხოლოდ იმის „საბუთების“ გროვას შეიცავს, თუ რატომ არ უნდა გადაეცეს ბათუმი საქართველოს.

ჩვეულებრივი ბალშევიკური ენაწყლიანობა უხვად არის დაბანდებულა საქართველოს დემოკრატიის მიმართ ხსენებულ წერილში.

ერთი საბუთი ისაა, რომ „კრამოლის მომხრე პროლეტარიატისთვის საინტერესო და სახარბიელო არ იქნება, თუ ის ნაცვლათ დენიკინის სახრჩობელაზე ქანაობისა, საქართველოს დემოკრატიულ ციხეში იქნება გამომწყვდეული“.

მეორე საბუთად ის არის მოფენილი, რომ საქართველოსთვის ბათუმის გადაცემა, ეს იქნებოდა „მოღალატურად ზურგში მახვილის ჩაცემა იმ მუშებისათვის, რომლებიც საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ შიგ საქართველოში“.

ასეთია ბალშევიკების მესამე, მეოთხე და ყველა საბუთები!

არც ერთი ბალშევიკური საბუთი არ აღმოაჩნდა იმის სასარგებლოთ, რომ ბათუმი საქართველოს ეკუთვნოდეს.

ასე „გადასჭრეს“ ბათუმის და მისი ოლქის ბედი ბათუმში შეფარებულმა ბალშევიკებმა მაშინ, როცა სამუსლიმანო საქართველო ქვეყნის გასაგონად გაიძახის: „კაცმა არ იცის ვინ იქნება ხვალ სამუსლიმანო საქართველოს გამგე ერთი დაგვრჩენიჯ: სამუსლიმანო საქართველომ თითონ უნდა მოჰკიდოს ხელი თავის საქმეს, უნდა უპატრონოს თავის ცხორებას. უნდა მოითხოვოს თავისუფლება. ავტონომიური სამუსლიმანო საქართველო თავისუფალ საქართველოში,—ესაა ერთად ერთი ხსნა.. ეს უნდა მოხდეს ახლავე, დაუყოვნებლივ, თუ არ გვინდა თავის დაღუპვა, სამუდამოთ გაუბედურება“. („სამუსლ. საქარ.“ № 168).

ასეთია ხალხის ხმა, მაგრამ როდის გაუწევია ანგარიში ხალხისთვის დენიკინის, ოსმალეთის გინდ ბალშევიკების ყორნებს!..

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 აგვისტო.

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი. აგვ. 26. № ის არმიის შტაბი. აგვ. 21. 4 საათსა და 30 წუთზე ჩვენი ჯარი ჩრდილოეთის მხრით პსკოვის განაპირა ნაწილში შევიდა. ბრძოლა ქალაქის ქუჩებზე სწარმოებდა. 6 საათსა და 40 წუთზე წითელი ჯარი პსკოვში შევიდა. სამხედრო ცნობა: ჩვენმა ჯარმა დნეპრის მარჯვენა მხარეზე ვასილკოვამდე უკან დაიხია. სამხრეთის ფრონტზე ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენ ბრძოლით კოროჩუ ვოლჩანოვი და ბუტურლინოვკა დავიჭირეთ. კუპიანის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით 30 ვერსით წინ წაიწია. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები ტყვიისმფრქვეველები და სხვა ქონება. წამოვიყვანეთ ტყვეები. კამიშინის რაიონში ჩვენ მტერს ვავიწროვებთ. აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ შეუჩერებლათ წინ მივიწევთ ტროიცკის, კურგანის იალუტუროვისა და ტობოლის რაიონში.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ლონდონიდან რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ უკრაინის ჯარმა ბალშევიკებთან ბრძოლის შემდეგ ადესა აიღო.

პორტირიდან მოსული დეპეშა იუწყება, რომ აგ. 28 მოულოდნელათ გაისმა ყრუ ხმაურობა და ვეზუვიის მწვერვალზე ორ ალაგას ცეცხლმა ამოხეთქა. ორ მხარეზე წამოვიდა ანთებული სითხე. ვეზუვიის კალთებზე მცხოვრებთ მოსალოდნელი უბედურება თავიდან ასცილდა.

ᲨᲠᲐᲜᲒᲨᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ვენიდან იუწყებიან, რომ იქაურ გაზეთების ცნობით ერცჰერცოგი იოსები, როგორც უბრალო მოქალაქე, მოუცდის ეროვნულ ყრილობის არჩევნების შედეგებს. უნგრეთის ახალი მთავრობა კოალიციური იქნება. მასში შევლენ: ლოვაში—პრემიერ მინისტრი, დრი ვაჟენი—საგარეო საქმეთა მინისტრი, გარამი—იუსტიციის, პეიდლი—ვაჭრობის და პაიერი—შრომის.

ბელგიის ჯარმა გუშინ ოფიციალურად დაიჭირა ქ. მალმედი, რომელიც ბელგიას საზავო ხელშეკრულების ძალით გადაეცა. ქ. ქ. მონდიდიე, ამინი და პერონი სამხედრო ორდენით დააჯილდოვეს იმ მამაცობისთვის, რომელიც იქაურმა მცხოვრებლებმა გამოიჩინეს მდ. სომმაზე მომხდარ ‘ბრძოლის დროს.

მართლდება, რომ უმაღლესი საბჭოს ნოტის გამო ერც-ჰერცოგი იოსები სახელმწიფო საქმეებს ჩამოცილდა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ბუდაპეშტიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობით, ბერლინის პრესის უმეტესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ყოფილ ავსტრია უნგრეთში ჰაბსბურგთა ბატონობას ბოლო მოეღო, რასაც ისე ხსნიან, რომ დემოკრატიული იდეები იმარჯვებს. „ფორვერტსი“ ამის გამო ამბობს: „ამით დასრულდა ბუდაპეშტის კომუნისტების დრამის მეორე აქტი. ვიქონიოთ იმედი, რომ დემოკრატიულ საფუძვლებზე შექმნილი ახალი მთავრობა, რომელიც უმთავრესად სოციალისტურ მუშათა კლასს დაეყრდნობა, უნგრეთში წესიერებას დაამყარებს და აოხრებულ სახელმწიფოს აღადგენს“.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ცენტრალურ ევროპაში რკინის გზით მოძრაობა დამოკიდებულია უმეტეს ნაწილად იმ შედეგებზე, რომელსაც მიაღწევს მოკავშირეთა კომისია, რომელიც ეხლა ხან გაემგზავრა სილეზიაში. თუ ამ რაიონში ნავთის დამუშავებას არ მოემატა, მაშინ ფაქტიურად რკინის გზების მოძრაობა 10 დღის შემდეგ შესწყდება. რადგან ნახშირი მეტს ხანს არ იკმარებს. სილეზიის დიდ სანახშირო რაიონში მაღაროების მესაკუთრეები უმეტეს ნაწილად გერმანელები არიან, მუშები კი უმეტეს ნაწილად—პოლონელები.

სილეზია-პოლონეთის საზღვრებზე 100,000 პოლონელმა მოიყარა თავი და სილეზიაში შეჭრას ლამობს თავის თანამემამულეთა დასაცავად გერმანელების მხრით დევნისაგან. ფიქრობენ, რომ, თუ უცხოელები არ ჩაერევნენ, მდგომარეობა ვერ გამოსწორდება, რადგან მხოლოდ მათ მფარველობის ქვეშ განაახლებენ მუშაობას პოლონელები.

ამის გამო მოსალოდნელია სერიოზული საფრთხე. ეკონომიური გაჭირვება აუცილებელია, თუ შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალი არ გამოინახა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

პარასკევს, 29 მარიამობისთვეს, საღამოს 5 საათზე მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში შესდგება პირველ რაიონულ კოლექტივის წევრთა საზოგადო სხდომა. დღის წესრიგი: ორგანიზაციების ახალი არჩევნები. პარტიის წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული ბარათები. პირველ ენკენისთვეს შესდგება ს. ს. დ. მ. პ. საკანტროლო კომისიის სხდომა.

✦ მთელ ახალციხის მაზრაში, ფოცხოვის რაიონი, ამრჩეველი იყო 37,744. არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 31,798 მა. ხმები ასე განაწილდა: № 1 მიიღო 24,495, № 2—100, № 3—70, № 4—3453, № 5—553, № 6—89, № 7—101, № 8—2640, № 9—12, № 11—75, № 12—136, № 14—13.

✦ მწერალთა დღეობა. დღეს, 28 აგვისტოს გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა დღეობა ქართულ კლუბის საზაფხულო ბაღში საუცხოვო პროგრამით. სეირნობის დასაწყისი საღამოს 9 ს.

✦ ჯარისკაცთა მოძრავი უნივერსიტეტი. დუშეთში დაარსდა ჯარისკაცთა მოძრავი უნივერსიტეტი, საიდანაც ლექტორები დარიალში და სხვა სადარაჯოებზე იმგზავრებენ და წაიკითხავენ ლექციებს. დუშეთში შესდგა კულტურულ განმანათლებელი კომისია, რომლის წევრებია: ნ. ჩიმაკაძე, ალექსიშვილი და ნ. წიფწიკაძე.

✦ მედიკო-სანიტარულ განყოფილების ინსპექტორათ ქალაქის გამგეობამ დანიშნა კ. გ. მეუნარგია.

✦ დუშეთის საპყრობილედან ტუსაღების გაქცევის გამო, მთავრობამ დაადგინა, გაიგზავნოს საქმის გამოსარკვევათ საგანგებო კომისია იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისა და ერთი გამომძიებლის შემადგენლობით და ეთხოვოს სახალხო გვარდიის შტაბს, რათა მან დუშეთის საპყრობილის დაცვა დროებით იკისროს.

✦ ამერიკელთა დამხმარე კომიტეტში. მომხდარ ბოროტ-მოქმედების შესახებ გამოძიება ამ მოკლე ხანში დათავდება. ბრალი ედებათ პლავსკის და ბერხინს. საქმე გადაეცემა სასამართლოს.

✦ სტუდენტთა კრება. კვირას, 31 აგვისტოს, საღამოს 4 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი, იწვევს ამ ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრებას, მომავალ სამოსწავლო წლიდან საექიმო ფაკულტეტის მესამე კურსის გახსნის გამო.

✦ უმუშევართა ფონდს შესწირა თფ. მუშათა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა 5 ათასი მანეთი, მეთუთუნეთა პროფესიონალურმა კავშირმა—1000 მანეთი.

✦ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოთ. ამ მოკლე ხანში გამოვა (უკვე იბეჭდება) ნორმალური ანატომიის სრული კურსი (ოსტეოლოგია, მიმიოლოგია, სინდესმოლოგია და ნერვიული სისტემა) პროფ. ალ. ნათიშვილისა. წიგნის შეძენა შეიძლება მხოლოდ წინასწარ ხელის მოწერით. ხელის მოწერა შეიძლება: პ. კორძახიასთან, ალ. ახვლედიანთან და ი. მამფორიასთან. ხელის მოწერის ფასი 100 მანეთი.

✦ მოძრავი სამკითხველო. სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელი სექცია აწყობს დარიალის ხეობაში მდგომ ჯარისათვის მოძრავ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ასეთ ბიბლიოთეკას დიდი მნიშვნელობა ექნება და ამიტომ სექცია სთხოვს საზოგადოებას შემოსწირონ ქარ. წიგნები და წაკითხული ჟურნალ-გაზეთები. შემოწირულება მიიღება სამხედრო სამინისტროში (ბარიათინის ქუჩა).

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ.

დღეს, საღამოს 6 ბიუროს ბინაზე შესდგება ს. სოც. დემ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 6 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონის ახალ და ძველ კოლექტივის შემადგენლობის კრება.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲫᲐᲠᲗᲜᲘᲫᲐ:

ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება პირველ ენკენისთვეს (ახალი სტილით). ამავე გიმნაზიაში მომავალ სამოსწავლო წლიდან გაიხსნება მერვე კლასი ზოგადი განათლების და პედაგოგიური საგნებით. კურს დამთავრებულთ უფლება ექნებათ—აგრეთვე მასწავლებლობისა.

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲒᲘᲫᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲘᲡᲐᲒᲘ

მისი ახალი წიგნიდან:

„Grâce aux fleurs“

მას გახელილი დარჩა თვალები.

მზეო თიბათვის, ცოფად ბაზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალ-ბით!

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები.
ის უცხო მხარეს გარდაიცალა
და გახელილი დარჩა თვალები!

და ეს თვალები საღამოთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით
მას გახელილი დარჩა თვალები
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები

რა ხდება იქით! საიდან ისმის
მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით“?
უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს
უამიდობით... უამიდობით!

საიდან ისმის ჩუმი გალობა
და ფოონობა სუნთქვის შემწყდარის,
წამების წყნარი წარმავალობა
და მოგონება ძვირფასი მკვდარის?

მიდის ზაფხული... ბაღში, მდელოში
სისინებს სიო, შრიალებს ნეშო.
მე ისევ აქ ვარ... საქართველოში!
რისთვის, ძვირფასო! რისთვის, ნუგეშო?

და ეს თვალები სერაფიმთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით,
მას გახელილი დარჩა თვალები
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!

მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა
და ხავერდებზე ეცემა ჩრდილი
ყველგან უჩინრად ტირის, ცვერია.
თვალები ცივი და გახელილი,

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი დაფერმიხდილი,
მე გზა არ ვიცი უახლოესი:
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი.

მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები.
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!

———

რამდენიმე დღე პეტროგრადში.

დაეშვა თოვლი, ფრინველი ლიბრი
ბოლოდაწყობილ ფრთების ჭალარით
და ჩონჩხებიან ხეების ჯიბრი
დაფარა ნაბდით ნაყაჩაღარით.

რა სულიერიც არის ეს ქარი
ვიცით: მოგვწყვინდა ბაიათები!
გარეულ ატლასთა არტყია ჯარი
შიგნით შავი აქვს გულის ნადები.

ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა
თან მეფიცება ძმობას და დობას
და ყორანივით უცნობი სკრიპკა
ჩემს მხართან ტირის უამიდობას.

კარგია ძილი რკინაზე მძიმე!
ან უცხოეთში უგზოდ დაკარგვა!
კარგია თოვლი, კარგია წვიმა
მაგრამ, უცნობო, შენ რა დაგარქვა?

და როგორც ყორანს ააქვს ბრჭყალებით
ჰაერში ნაზი ხელები ქალის—
სიმები სწეწენ შეუწყალებით
ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს.

წყებათ ალეწილ ზარების დარდი,
დაღლილ ცხენების სუნთქვა და შური,
მე, ნოემბერი და პეტროგრადი
ასეთი კარგი და უდაბური.

და მარტოობამ სხვა ქადაგებით
გაიგო ჩემი: ვარ გაძარცული!
ამ უცხო ნისლის ბარიკადები
მე მიყვარს როგორც ჩემი წარსული.

ათოვს გამვლელებს და გულიც ბაღებს,
სად უნდა ნახო აქ თავის თავი?
ვიღაცა დაქრის და ცეცხლს აჩაღებს
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი.

მაინც სად გაქრა ეს წერეთელი,
ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი:
ვიყავი ჩემთვის ეხლა წერილი:
სიკვდილი ერთი და უცაბედი.

და როცა ცეცხლში ქანაობს ლავრა
ბრმების თუნუქებს ტეხენ ლოთები,
ლავრაში ლოცვა ვერ დავამთავრე
და კალუგისკენ გზებს ველოდები.

თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი ტირის!
მე კი, რადგანაც გამძარცვეს გუშინ,
გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,
ან და რევოლვერს დავიცლი გულში!

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სამეურნეო ფაკულტეტი.

ამ სამოსწავლო წლიდან სტუდენტთა ერთი ჯგუფის თხოვნით ქართულ უნივერსიტეტ

ში იხსნება მესამე კურსი აგრონომიულ განყოფილებისა (ლექციების კითხვა იქნება ქართულ და რუსულ ენაზე)

ჯგუფი მიმართავს სამეურნეო და საბუნების მეტყველო ფაკულტეტის ყველა სტუდენტებს, რომელნიც ვერ მიდიან რუსეთში, ისე თფილისის პოლიტეხნიკუმის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს დაუჭირონ მხარი მესამე კურსის გახსნას. რადგანაც პროფესორები მოწვეულ არიან კიდეც და საჭიროა სათანადო ლაბარატორიების გასახსნელად მზადება, ამიტომ თხოვნები მიიღება 30 მარიამობისთვემდე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. ცნობების მიღება შეიძლება გაზ. „საქართველო“ს რედაქციაში.

ვინ არის განსაცდელში?

(„სახალხოს“ იურისტის პასუხათ).

ჭიათურის მომრიგებელმა მოსამართლემ ბ. ყაველაშვილმა ამ დღეებში ქ. თფილისი მოიარა. მას იქიდან თან მოსდია „სახალხო საქმის“ 608 ნუმერმა, სადაც იურისტის პსევდონიმით გძელი წერილია, სათაურით: „სამართალი განსაცდელშია“.

რაშია საქმე?

საქმე თურმე იმაში ყოფილა, რომ მისი საქმე ხარატიშვილის განაჩენის შესახებ, რომელიც დამფ. კრებამ გააუქმა, „ჭიათურაში თურმე ჯერაც არ გათავებულა“, ჭიათურის მ. დ. საბჭო ეხლა თურმე „მემორანდუმს უგზავნის შორაპნის მაზრის ერობას“ და სხვა. ესე იგი, სამართალი კი არა, ბ. ყაველაშვილი ჩავარდნილა განსაცდელში, ვინაიდან მისი საქმე მის ამრჩევლებთან გადუტანიათ. რა შუაშია აქ სამართალი?

რომ თავის საქმე ბ. ყაველაშვილმა მოსამართლეთა კორპორაციის საქმეთ გამოიტანოს, ერთხელ კიდევ ამეორებიებს „სახალხოს“ ფურცლებს იმას, რაც მათმა მეორე იურისტმა სთქვა დამფ. კრებაში. იმოწმებს იუსტიციის მინისტრის სიტყვებსაც და მოსთქვამს: ბ. გეგეჭკორმა ყაველაშვილის მოქმედება კანონიერათ იცნო, მაგრამ ჭ. მ. დ. საბჭო მას არ ემორჩილებაო. მაგრამ ავიწყდება ბ. იურისტს, რომ მინისტრმა კითხვა განიხილა მხოლოდ ფორმალურათ, საქმის არსებით მხარეს არ შეეხო, ხოლო თქვენ ცდილობთ დაამტკიცოთ, რომ ჭ. მ. დ. საბჭო თავის მდივნის სახით „განგებ ცილს სწამებდა მოქალაქეს და ბ-მა ყაველაშვილმა სამართლიანათ მიუსაჯა მას ციხეში ჯდომა. საბუთი არის თურმე გ. მიქაუტიძის ათი ივნისის თხოვნა მოსამართლისადმი. მართალია, „სახალხოს“ იურისტებისათვის ჩვენს (არაიურისტების) მტკიცებას ფასი არა აქვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც იურისტმა გობეჩიამ დაუმტკიცათ დამფ. კრებაში სრული უსუსურობა ამ დოკუმენტის ასე გამოყენებისა, რალა პირით იმეორებენ ძველ ნათქვამს? ბ ნი გობეჩია პირდაპირ უსვამს მათ კითხვას: რა უფლებით აძლევთ მნიშვნელობას მიქაუტიძის 10 ივნისის თხოვნას და მისსავე თხოვნას ადრე საბჭოში შეტანილს კი არა? თუ მიქაუტიძე 10 ივნისს ამბობდა მართალს, რატომ ფიქრობთ, რომ ის ადრე ტყუოდა? თქვენ ფიქრობთ ადრე დააძალესო, მაგრამ მეორე შემთხვევაში ხომ ფიქრიც აღარაა საჭირო, ვინაიდან აშკარაა სჩანს მისსავე თხოვნაში, რომ დააძალეს ასე დაეწერა, თუ არ უნდოდა ორ თვეს ციხეში ჯდომა?

მართლაც, გ. მიქაუტაძე ამავე თხოვნაში გვიხსნის, თუ რისთვის არის ის შეთხზული: „ვინაიდან კ. წერეთელმა ინება განცხადება, რომ მიქაუტაძეს სასჯელს ვაპატიებო“. უამისოთ მუშა მიქაუტიძემ არა მარტო საბჭოსთან თხოვნაში, არამედ—ერთი წლის შემდეგ თხოვნისა, 1918 წლის მაისის 17 საჯაროთ განუცხადა იმავე მოსამართლეს, რომ კ. წერეთელს მართლა მისცა ქრთამი 40 მანეთი და მოსამართლის შეკითხვაზე ისიც აუხსნა, თუ რა პირობებში მოხდა ეს, რომ 25 მ. მას მისცა მაშინ, როცა მოურიგდა, ხოლო 15 მანეთი შემდეგ ჩამოუტანა და, რადგან თითონ არ იყო, სახლობას დაუტოვა. შემდეგ, დამფ. კრებაში ჩვენ გამოვამჟღავნეთ მესამე დოკუმენტი, რომლის შემდეგ ბ. ყაველაშვილს მხოლოდ ისღა რჩება, საყვედური უთხრას საბჭოს თავმჯდომარეს, რომ ეს დოკუმენტი ადრე არ გააცნო, მაგრამ ამას ვერ ეტყვის, რადგან მასთან მისულ თავმჯდომარეს ის მკვახეთ შეხვდა და მისი განმარტებები საჭიროთ არ ჩასთვალა. ეხლა ამ დოკუმენტს ისევ გვერდს უვლის. ეს დოკუმენტი დაიწერა მ. დ. საბჭოში, როცა იქ მორიგეობდა წევრი ს. ფალავა და სადაც თვით შემოვიდა მიქაუტიძე მადლობის გამოსაცხადებლათ, რომ „საჩივარმა გასჭრა და ბ. წერეთელი ფულს უხდის“ მას. აი ეს დოკუმენტიც: „მუშა გედეონ მიქაუტიძემ განაცხადა, რომ 19 მაისს 1917 წელს მე მივედი კ. წერეთელთან და მოვთხოვე ფული 40 მანათი, მან მომცა 20 მ. დანარჩენ 20 მანეთსაც მერე მოგცემო, ვინაიდან ეხლა მეტი არ მაქვსო, ამასთანავე დასძინა, რომ თუ არ მოვკვდი, ვეცდები გადაგიხადო მაგიერი, რადგან შენ მ. საბჭოში მიჩივლეო. მიქაუტიძის ჩვენების დროს დავესწარით: ჯარისკაცი ალ. ქაცარავა, მრეწველი თ. ბუაძე, მექანიკი ყ. გიორგობიანი, თ. ჭოხონელიძე, ს. ფალავა“, გარდა უკანასკნელისა, ყველა ხელის მომწერნი გარეშენი და ამ დროს შემთხვევით იქ დამსწრენი არიან, ხოლო ხარატიშვილი და არც სხვა საბჭოს წევრები იმ დროს სულ არ ყოფილან იქ. სად ხედავენ ბ. იურისტები საბჭოსა და მისი მდივნის მიერ განგებ ცილის დაწამების ცდას? ასეთივე გახლავთ ბ. კობიძის ბოდიშის მოხდაც, რაც მან ჩაიდინა მას შემდეგ, როცა 8 თვე მიუსაჯეს და უთხრეს: დაწერე ასე და ასე და გაპატიებთო.

კობიძის საქმესთან ერთად „სახალხო“ ბეჭდავს მუშა ზუბიაშვილის სასამართლოში ჩვენებას, მაგრამ ამის შესახებაც ხომ ჩვენ იქვე გამოვამჟღავნეთ საბუთი, რათ უვლით ბ. ბ. ამ დოკუმენტს გვერდს? აი ეს დოკუმენტიც: „Удостовѣреніе. Дано сіе военнообязанному рабочему, работающему у марганцепромышленника Нестора Церетели, С. Г. Зубіашвили, ратн. ополч. 2 разряда, въ томъ, что ему, согласно закона 6 декабря, постановленіемъ комиссій по предоставленію отсрочекъ, отъ 5 іюня 1917 г. предоставлена отсрочка до 1-го ноября 1917 г.“. როგორც ხედავთ, ზუბიაშვილი კომისიას ბრძოლის ველზე აღარ გაუგზავნია იმიტომ, რომ ის თითქოს მუშაობდა ნ. წერეთლის მაღაროში ომის საჭიროებისათვის, ნამდვილათ კი (თუნდაც მისივე სიტყვების თანახმათ) ის დაატყვევეს კ. წერეთლის ვენახში. და დაატყვევა ის როგორც დამალული არა ხარატიშვილმა, არამედ მილიციამ და არა მარტო ის, არამედ ასობით მისთანები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ქონდათ მაღაროს მუშებთან, არამედ ქრთამებით იყვნენ ჩაწერილი მუშათა სიაში, ხოლო დაკითხა მას და ყველას კითხავდა სხვათა შორის ხარატიშვილიც, რადგან ის იყო საბჭოს მხრით იმ კომისიაში, რომელიც იძიებდა ასეთ ბოროტ მოქმედებას და რომლის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ჭიათურის მუშათა სიაში ჩარიცხული იყო 2000 ნამდვილ მუშებთან ერთათ 5500 არა მუშა და ასე თავი დაეხსნათ სამხედრო სამსახურიდან. მათ რიცხვში იყო მდიდრები არა მარტო საქართველოს ქალაქებიდან და ერევნიდან, არამედ ოდესელი ებრაელებიც.

ამის შემდეგ რა უფლებით ლაპარაკობს ბ. ყაველაშვილი და „სახალხო“, რომ კ. წერეთელს განგებ სწამებდენ ცილს, განგებ ეძებდენ ყალბ საბუთებსო? ან რას წარმოადგენს მათი ფიქრით კ. წერეთელი, რომ მის შესახებ ამდენი თავი ემტვრიათ? ის იყო ერთი იმ ლეგიონთაგანი, რომელთა შესახებ ასეთი საიავრები შემოდიოდა მაშინ საბჭოში და თუ ისინი არ მოხვდენ ისტორიაში, ეს იმიტომ, რომ თითონ არიან და იყვნენ ჩუმათ მის შემდეგაც, როცა ნაქრთამევს უკან აბრუნებდენ, საბჭოს კი არავითარი სურვილი არ ქონია მათი სახელების გამომზეურებისა (მათ შორის კოტესიც). ან რა შუაშია აქ „სამართალი განსაცდელში“ და რა უფლებით უნდა ბ. ყაველაშვილს თავასი განსაცდელი კორპორაციის განსაცდელათ გამოიტანოს? ბ. იურისტი ამბობს: „მაშინ თავის სიტყვა უნდა თქვას მთელმა უწყებამ“-ო, მაგრამ არც ამ მუქარას შეუშინდებით, რადგან არა გვჯერა, რომ კორპორაციამ ბ. ყაველაშვილის „მარცხი“ უწყების ბედს დაუკავშიროს. ამით იურისტები დაუპირდაპირდებოდენ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, როგორც ეს ამხ. ვ. ჯუღელმა გააშუქა დამფ. კრებაში.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მე, ჯერ კიდევ ყაველაშვილის და მის ამხანაგების არჩევის დროს, გაუსვიჯხაზი, რომ მსაჯული თავის თავათ დიდი საპატიო პირია, რომ მსაჯული, როგორც მორალური არსება, ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე მინისტრი, რომ მსაჯული ხალხის თვალში სასტიკი განხორციელება უნდა იყოს სიმართლისა და მიუდგომლობისა, რომ ის სრული ნდობით უნდა სარგებლობდესთქო და სხვა. შესძლო ეს ბ. ყაველაშვილმა ჭიათურაში? ჭიათურაში ხალხის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ის სხვების გავლენით მოქმედებდა. დღეს ის აქ აღარაა, საჩხერეშია. როგორ უყურებენ მას იქ? ეს მე არ ვიცი, მაგრამ ეჭვი შემდის, რომ იქაურმა მშრომელმა ხალხმა ნდობით შეხედოს მის სამართლოს. ამ ეჭვში მაგდებს ერთი მისი განკარგულება, გაზეთ „რესპუბლიკაში“ (№ 174) მოთავსებული. იქ ვკითხულობთ: „კლიმენტი ეპიფანეს ძე აბრამიშვილი დაინიშნა მდივნათ; მღ. პახუმ აბრამიშვილი დაინიშნა გადამწერათ; მ. ნ. გამყრელიძე დაინიშნა გადამწერათ და სხვა“. მე ეჭვი შემდის, როცა პახუმის მამის სახელი არაა აღნიშნული: ალბათ ბ. ყაველაშვილს ახსოვდა სამართლის სამინისტროს განკარგულება, რომ ნათესავების სამსახური ერთათ არ შეიძლება და ეპიფანე მეორეთ აღარ მოიხსენია. მაგრამ თუ ამას ვერ მიხვდებოდა სამინისტრო, საჩხერის რაიონმა ხომ კარგათ იცის, რომ პახუმი კლიმენტის ძმაა და მიხ. გამყრელიძე კიდევ მათი დისშვილი და განა ბ. ყაველაშვილმა არ იცის, როგორც ადგილობრივმა, რომ ხალხს ამ პირებისათვის თავის სახელები აქვს მიკუთვნებული და ამ სახელებს აღნიშნავს სიტყვები კომბინატორი ან ლოთი?

არა იურისტი ზ. გურული.

P. S. ბ. იურისტს უნდა შთაბეჭდილება მოახდინოს იმ განცხადებით, თითქო კ. წერეთელს შეეძლო ზ. გურულიც სამართალში მიეცა, თურმე იმისთვის, რომ მიქაუტიძის თხოვნა ჩემი დაწერილია. ბ.ბ. ყაველაშვილების იურისპრუდენცია მგონი კ. წერეთლის უნივერსიტეტიდანაა, თორემ გაჭირვებულ კაცს რომ თხოვნა დაუწერო, ამისთვის ჯერ არსად მიუციათ სამართალში. ან იქნებ ის გეჩვენებათ რაც გინდოდათ დაეწერა თავის განცხადებაში მიქაუტიძეს? მაშინ წაიკითხეთ თუნდაც „სახალხოში“ მისი განცხადების ეს ადგილი: „აზნაურაშვილმა მიმიყვანა ზ. გურულთან და **მას ვსთხოვეთ** საჩივრის დაწერა, რომელმაც **შეგვისრულა** და დაგვიწერა“-ო. მე მართლა მთხოვა ინვალიდმა მუშამ მიქაუტიძემ, რომ საბჭოში საჩივარი შევიტანე და მომთხოვეს წერილობით, ფული არ გამაჩნია, რომ ვინმეს დავაწერიოვო. მეც შევედი მის მდგომარეობაში და დაუწერე. რაა აქ არამც თუ გასასამართლებელი, არამედ დასაძრახავიც კი? ან იქნებ ბ.ბ. ყაველაშვილები აქ დანაშაულს ხედავენ იმაში, რომ აბლაკატებს (იქნებ იურისტსაც) სამუშაო დავუკარგე?

ზ. გ.

ხმა ფრონტიდან

ვისაც გამოუცდია თუნდა ცოტა ხნით მაინც ბრძოლის ველზე ყოფნა, მისთვის აშკარაა, თუ რა საგანძურს წარმოადგენს ფრონტზე ჟურნალ-გაზეთობა. არაფერი ისეთ სამსახურს არ უწევს იქ მდგომ ჯარისკაცს, როგორც სულიერი საზრდო. მართალია, დღევანდელი ბრძოლის ხაზი შეიძლება არ შეედრებოდეს ძველს, თუნდ რევოლიუციის შემდეგ ჩვენ მიერ განცდილს, მაგრამ მაინც სინამდვილეა, რომ რაც უნდა სიწყნარე იყოს ბრძოლის ხაზზედ, მეომარს მაინც ისეთი ჩვეულებრივი სამსახურს უწევს, როგორც ომის დროს. მაგ. მზვერაობა, გუშაგობა და სხვა.

მოშორებული სოფელს, გაუვალ ტყე-ღრეში მყოფთ, თუ სულიერი საზრდო არ ექნებათ, თანდათან გაველურდებიან. ამისთვის საჭიროა, რომ ზურგის ყურადღება აუცილებლათ აქეთკენ იქნეს მიქცეული. ამ ფრონტზე გარდა „ერთობისა“, „ბარბა“ სი და „საქართველოს რესპუბლიკისა“ არაფერი არ მოდის. მოდის პარტიზანებს „სახალხო“ ისიც ძლიერ ცოტა. თავიანთ რაზმისათვისაც არ ყოფნით, სხვას როგორ გაუნაწილონ. საჭიროა ამ მხარეს მიექცეს დიდი ყურადღება. წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, აი რა ესაჭიროება ახლა ფრონტს. სხვათა შორის, ერთი პატარა თხოვნა ბათუმის ქართულ ეროვნულ საბჭოს. ვინ არ იცის, თუ როგორ არის დღეს დაინტერესებული ბათუმის ბედ-იღბალით ფრონტზე მყოფი—გვარდიელები თუ ჯარისკაცი, მაშინ, როდესაც ათასნაირ ინსინუაციების და ჭორებს ავრცელებენ ბათუმის შესახებ. ამიტომ საჭიროა, რომ ეროვნულმა საბჭომ აიღოს თავის თავზე ინიციატივა და გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ და სხვა ბათუმის გაზეთების რამოდენიმე ეგზემპლიარი გვიგზავნოს ფრონტზე.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

გ. ა—ბელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 14 აგვისტოს შესდგა მესამე რაიონის კოლლექტივის სხდომა.

დღიურ წესრიგიდან კოლლექტივმა გამოჰყო მხოლოდ სამი სასწრაფო საკითხი—მესამე რაიონში ლექცია-მოხსენების გამართვა, ავლაბრის ქალთა არტელის დაარსება და საფინანსო კომისიის მოხსენება.

ლექციის გაშართვის შესახებ კოლლექტივმა მიმართა ამხ. ტუმასს. ლექტორმა თანხმობა განაცხადა 18 აგვისტოს საღამოს 6 ს. მესამე რაიონში ლექციის წაკითხვაზე მკერავ ქალთა არტელის დაარსების შესახებ მოახსენა გააკეთა ოლ. ბაქრაძემ, რომელმაც აღნიშნა ქალთა არტელის დაარსების საჭიროება ავლაბრის რაიონში. პრეზიდიუმ [illegible] სენებას აკეთებს ამხ. ელ. [illegible] წერს მკერავ ქალთა [illegible] წეობას, აღწერს მასაც, თუ რამდენათ უწევდა კავშირი სამსახურს უმუშევარ მკერავ ქალთა ინტერესებს, მაგრამ აღწერს აგრეთვე კავშირის გამგეობაში არსებულ დეფიციტებს, ჩადენილ ბოროტ-მოქმედებებს და სხვა. გამგეობის თავმჯდომარის ქ-ნ ზარიძის შესახებ გამოირკვა, რომ ის გამგეობის თავმჯდომარის სახელს ტყუილათ ატარებს, როდესაც გამგეობაში მას იცავს მხოლოდ გამგეობის უმცირესობა.

ამის შესახებ არტელის გამგეობა საჭიროთ სთვლის ზარიძის ქალის ადგილზე გაგზავნილ იქნეს ამხ. ლ. ხუციშვილი დროებით, სანამ მოწვეულ იქნებოდეს არტელის ფართო კრება, რომელიც 17 აგვ. დაინიშნა. საფინანსო კომისია აცნობს კოლექტივს, რომ მან შეკრიბა ფული სომხური სექციისათვის, მაგრამ კოლექტივმა გადაწყვიტა წარმოდგენიდან შემოსული ფული და შეკრებილი თანხა შეერთდეს ერთად და ისე გადაეცეს თფილისის კომიტეტს.

დანარჩენი საკითხები გადაიდო შემდეგი კრებისთვის.

კოლლექტივის **მდივანი.**

თფილისი. 21 აგვისტოს შესდგა ს. სოცდემ. მ. ჰ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება. დაესწრო 14 წევრი. თავმჯდომარეობს ამხ. ლ. ასათიანი. თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. ასათიანი. ვინაიდან მოხსენებაში საკამათო არაფერია, კრება ღებულობს მას ცნობათ და გადადის მორიგ საკითხზე. კრება ამხ. კ. კოპალეიშვილის საყურადღებოთ აცხადებს: არსენალის მცირე კოლექტივის მიერ ახალქალაქის სომეხ ლტოლვილების სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენიდან შემოსული 950 მანეთი შემოტანილ იქნას კოლექტივის სახელზე და ის გადასცემს ამ ფულს დანიშნულებისამებრ სომხურ სექციას.

X.

პროვინცია

აგრონომიული მუშაობა.

„ერთობის“ 189 ნომერში ბ-ნი კ. ბერეკაშვილი მოუწოდებს აგრონომებს შეკავშირდნენ. დიახაც რომ მოსაწონი აზრია, თან აუცილებელი, თუ ერთი-მეორის აზრითა და გამოცდილებით არ ვისარგებლეთ, ისე მეურნეობას ვერ ავაღორძინებთ. ამისათვის კი აუცილებელია საკუთარი, სპეციალი ორგანო—სამეურნეო ჟურნალი. როცა ჩვენ თავს არ ვეკუთნოდით, როცა ერობაზე ფიქრიც კი ცოდვათ გვეთვლებოდა, მაშინ ორი სამეურნეო ჟურნალი („მოსავალი“ და „სასოფლო გაზეთი“) გვქონდა, დღეს კი, როცა ერთი ათასად საჭიროა, არც ერთი არ გვაქვს. სამეურნეო ჟურნალი თითოეულ სამაზრო ერობას რომ ჰქონდეს, ისიც კი არ იქნება ზედმეტი, მაშასადამე, მით უმეტეს ყველა ერობას ერთი მაინც უნდა ჰქონდეს. ასეთ ჟურნალს შეეძლო ერობის აგრონომების შეკავშირება, იმავე ჟურნალით შეიძლებოდა სამეურნეო ცოდნა გამოცდილების ხალხში გავრცელება. ეს საკითხი მწვავე და საშურია. იმედია ყველა სამაზრო ერობა შეკავშირდება და საერთო ძალღონით ერთი ჟურნალის გამოცემას არ დააყოვნებს. იტყვიან, ქალალდი არ იშოვნებაო, მაგრამ ეს რომ მართალი იყოს, მაშინ საიდან შოულობენ სხვებს? ვცადოთ და თუ მართლა დაუძლეველი დარჩება, მაშინ მოვითხოვოთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გაფართოება და მისი ნახევრის დათმობა სამეურნეო კითხვებისათვის.

ალ. წულაძე.

ნუ მოვსტყუვდებით.

მე, როგორც ყოფილი ჯარისკაცი და აგრეთვე ერთ დროს სხვების ზეგავლენით ბალშევიკურათ განწყობილი, დღეს თან და **თან** ვბრკვევი შავი ბურუსიდან. მხოლოდ **დღეს** ვარჩევ თეთრს შავისაგან.

მე რომ ვბალშევიკობდი, შემიძლია დავამტკიცო ჩემი პატარა გამოსვლებით ოჯახურ, ვიწრო ჯგუფში ამხანაგ მენშევიკების წინააღმდეგ. ვინაიდან ფართო მასაში გამოსვლის უნარი არც კი შემწევდა. ყველა ამაებში დაეთანხმება ჩემი ნაცნობი ამხანაგნი მენშევიკები. აი ამხანაგებო, მუშებო ტ მიწაზედ ძაჯაჭულნო გლეხებო! კარგათ ჩაუკვირდით ცხოვრებას, კარგათ გაუშინჯეთ „ბილები“ მენშევიკებსაც და ბალშევიკებსაც. კარგათ გითვალისწინეთ მათი მოქმედებები, ბევრ ნაირათ გაზომეთ და შემდეგ გასჭერით, თორემ

ბოლოს ინანებთ. მე თუმცაღა არ მომივლია საქართველო, რომ გამეგო დემოკრატიის სულიერი განწყობილება, მაგრამ გაზეთ „ერობის“ წერილებით და კერძო პირების გადმოცემით ვგებულობ იმ არა სასიამოვნო მუშაობის შესახებ უპასუხისმგებლო პირებისა, რომელიც ახლა სწარმოებს. ისეთი მუშაობა, რომელმაც დაანგრია და სამოქალაქო ომში გახვია ვებერთელა რუსეთი. ესეც არ იყოს, რა ქნა ფხიზელმა გერმანიის დემოკრატიამ? იქაც დატრიალდა ბალშევიკური ხელი, მაგრამ შეერთებულის ძალით გაანთავისუფლეს გერმანიის დემოკრატია ბალშევიკური ქაოსიდან. ამასთან გაიხსენეთ აგრეთვე რა ქნა უნგრეთის საბჭოთა მთავრობამ. სამი თუ ოთხი თვის არსებობის შემდეგ მოკვდა ისიც. მოკვდა იმისთვის, რომ არ ჰქონდა ნიადაგი. მასთან მოკავშირეების მუქარამ და ბლოკადამ აიძულა უნგრეთის დემოკრატია უარ-ეყო უნგრეთის საბჭოთა მთავრობა. დღეს თუ მოკავშირეები შავს გენერლებ - დენიკინელებს არ აძლევენ უფლებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გაქრობა განადგურებისას, მაშინ კი, როცა ბალშევიზმი მაგრათ ფეხს მოიკიდებს, ძალასაც მისცემს და ჩვენს წინააღმდეგ მოქმედების ნებასაც. და აბა ოსმალეთის თავ ბრუ დასხმული აგენტები და სომხეთის დაშნაკცუტიუნთა პარტია ხომ კრიჭაში გვიდგას და ელოდება დროს, რომ იხელთოს და გაგვანადგუროს. მასთან ჩვენს თავისუფლებას შინაური მტრებიც ბლომათ გაუჩნდება ყოფილ ჩინოვნიკ მემამულეთა-პოლიციელების სახით. მაშინ მშვიდობით მიწავ და თავისუფლებავ, მშვიდობით შენ საქართველოს დემოკრატიულო რესპუბლიკავ! და გაბატონდება სამოქალაქო ომი დაუსრულებელი სისხლის ღვრით, როგორც ეს ხდება უზარმაზარ რუსეთში... ყველას რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ შარშანდელი წელიწადი, როდესაც ჯარი დაიშალა ფრონტზე და დასუსტდა სამხედრო ძალა ბალშევიკური განწყობილებით და მათი პროპაგანდა აგიტაციით. რა მივიღეთ ჩვენ მაშინ? მივიღეთ ბათუმის ციხე-სიმაგრეების ლაჩრულათ დატოვება. რა ხდებოდა იმ დროს შიგა საქართველოში, როდესაც მტერი ოზურგეთს და მთელ გურიას განადგურებას უქადდა და მერმედ მისი სახით მთელ საქართველოს დაპყრობას? შიგ საქართველოში მაშინ გაჩაღებული იყო ზოგიერთ ბნელ კუთხეებში იგივე სამოქალაქო ომი. მივიღეთ ჯარის დაშლა, ბათუმის დაკარგვა, შემდეგ გურიის აოხრება, სამოქალაქო ომი, სამხედრო ძალის დასუსტება, და მერმედ კი ამ ნანგრევებზე ხელ ახალი სახელმწიფოებრივი აპარატის ამუშავება, საზღვრების დაცვა. ყველა ამას დასჭირდა ცოცხალი ძალა, და ეს ცოცხალი ძალა გამოაკლდა სოფელს. ამით დარჩა დაუთესავი მინდვრები, შესწყდა სხვა გვარი მოძრაობაც, რომლიდანაც ჩვენ მივიღეთ შიმშილი და სხვ. და აი, სწორედ, როცა გავითვალისწინე ყველაფერი, ეს გამოვერკვიე შავს ბურუსიდან, ამეხილა თვალები, და გავარჩიე თეთრი შავისაგან. ასეთი ყოფილა ბალშევიკების ტაქტიკა. ვხედავ და დარწმუნებულიც ვარ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობის ენერგიულ სამართლიან და იდეიურ მოქმედებაში.

ეს პირველი მაგალითია მთელ ევროპაში და ამის შემდეგ თუ კიდევ გაჩდენ დემოკრატიის მტრები, მით უმეტესათ დასავლეთ საქართველოში (სახელდობრ, გურიაში), სადაც მრავალჯერ აოხრებულია მოღალატეების მიერ, ეს დიდათ დამაღონებელია, მაგრამ მე ეჭვი არ შემაქვს იმაში, რომ გურიის ფხიზელი დემოკრატია შესძლებს იმათი აღაგმვას და არც აყვება იმათ დამღუპველ პოლიტიკას. და ის დეზერტირები ბალშევიკებათ რომ მოგვლინებიან, რას ფიქრობენ, ნუთუ, ბალშევიზმმა კიდევაც რომ გაიმარჯვოს საქართველოში, მათ არ გაიწვევენ ჯარში? მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ბალშევიკებთანაც დეზერტირებათ იქნებიან, და ასეთ ბალშევიკებს მე იმედი მაქვს არავითარ ანგარიშს და არც ყურადღებას არ გაუწევს საქართველოს ფხიზელი დემოკრატია. ძირს დამღუპველი პოლიტიკოსები! გაუმარჯოს საღს—საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის მთავრობას, რადგანაც ეს პირველი მაგალითია ისტორიაში.

ლიზასშვილი.

— —

ახალსენაკის საოსტატო სემინარიაში საჭიროა მასწავლებელნი: ფილოლოგი, მათემატიკის და ხატვა-ხაზვის; მათემატიკის და ხატვა ხაზვის მასწავლებელთ მიეცემათ გაკვეთილები აგრეთვე ადგილობრივ გიმნაზიაში. მსურველნი გამოუგზავნიან თხოვნას ახალსენაკში გიმნაზიის დირექტორს.—

წერ. რედაქციის მიმართ

ღია წერილი ქუთათურ ამხანაგებისადმი

შარშან ამ დროს გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ ხელმძღვანელებს ბიკტორ ნოზაძეს და დათიკო ჩხეიძეს მათივე თხოვნით მათ მიერ განზრახულ ჟურნალში დასაბეჭდად გადავეცი ჩემი შრომის ნაწილი—ორი წერილი—ამ სათაურით: „შენიშვნები ხელოვნებაზე“ გავიდა დრო და ჟურნალი ვერ გამოვიდა, მეგონა რომ ჩემი ხელნაწერი მაინც საიმედო პირობებში იყო და არ დაიკარგებოდა, მაგრამ მოვტყუვდი და მთელი წლობით ნაწვალები შრომის აღუდგენელი ნაწილი ჯერ ჯერობით მაინც დაკარგულად ითვლება—არ აღმოჩნდა იქ, სადაც შემნახველთ ეგულებოდათ. დამრჩენია, რომ უმორჩილესის თხოვნით მივმართო ქუთათურ იმ ამხანაგებს, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონიათ და აქვთ დასახელებულ რედაქციასთან, მოიგონონ ეგების შემთხვევით გადაეყარენ ამ წერილებს ან რედაქციის შკაფებში, ან სტოლის უჯრაში; ან კიდევ იქნებ რაიმე შემთხვევით ეს წერილები რომელიმე მათგანს ჩაუვარდა ხელში... ერთის სიტყვით თუ ჩემი ხელნაწერის იციან რაიმე, მაცნობონ ყოველივე, რისთვისაც უგულწრფელეს მადლობის მიიღებენ. ადრესი იქნება პირდაპირ ხონში ჩემს სახელზე. ამხანაგურის სალამით **ვარლამ ხურციძე.**

„ფრონტის დღეები“ სენაკის მაზრაში

„ფრონტის დღეები“ სენაკის მაზრის მეტ ნაწილში ძალიან ცოცხლად ჩატარდა. ორი კვირით ადრე სენაკში სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან დაარსდა სამაზრო კომისია. ამ კომისიის ინიციატივით სამაზრო ერობამ მთელი მაზრიდან მოიწვია წვრილ საერობო ერთეულების გამგეობათა წევრების კრება, რომლებსაც დაევალა სოფლებში ყოველგან „ფრონტის დღის“ მოწყობა. ზოგმა ერთეულმა მართლაც პირნათლად შეასრულა ეს დავალება და, როგორც შედეგებიდან სჩანს, ხალხიც ყოველგან თანაგრძნობით შეეგება ამ საქმეს.

მაგალ., თვით ახალსენაკში შეგროვდა 44000 მან. ბანქაში 20000 მ., დ. აბაშაში და კვათანის საზ-ში 18 ათასამდე, მარანის საზ-ში 7 ათასი, სუჯუნაში 6625 მ., სხვა სოფლებში კი ნაკლები, საერთოდ მაზრაში 100 ათას მანეთზე მეტია შეგროვილი, მხოლოდ ზოგიერთ შორეულ სოფლებიდან ჯერ არ არის წარმოდგენილი ფული და ანგარიშები. ზოგიერთმა სამაზრო კომისიის წევრებმაც ვეღარ დაუცადეს ყველა სოფლებიდან ანგარიშების მიღებას და დროებით სენაკიდან წავიდ-წამოვიდნენ. ეს ორი გარემოება აბრკოლებს ჯერ-ჯერობით საბოლოო ანგარიშის შედგენას და გამოქვეყნებას. 20 ივლისს (ფრონტის დღეს) სამაზრო კომისიას ყავდა მოწვეული ორი ორკესტრი, ერთი ხორო, ორი მორთული ავტომობილი ცოცხალი სურათებით, რომლებიც წარმოადგენენ თავისუფალ საქართველოს, გარსშემორტყმულს ჯარისკაცებით, გვარდიელებით და მოწყალების დებით.

ამ ორმა პროცესიამ 20 ივლისს შემოიარა თითქმის მთელი მაზრა, გარდა მთა გორიან ადგილებისა, სადაც ცალკე აგიტატორ-ინსტრუქტორები იყვნენ გაგზავნილნი „ფრონტის დღის“ მოსაწყობათ და მისი მნიშვნელობის ასახსნელათ. ბევრ ალაგას გაიმართა ფასიანი სეირნობა-სალამოები და წარმოდგენები. ფული გროვდებოდა აგრეთვე ყულაბების და სიების საშუალებით. ზოგიერთ შორეულ სოფლებში „ფრონტის დღეებს“ ახლა მართავენ.

სამაზრო კომისიის თავმჯდომარე
ლ. დავითაია.

განცხადებანი

მე-2 საარტილერიო დივიზიონის პირველ ბატარეიას სჭირდება

სამსახურს გარეშე მეოფი
უფროსი ნაცვალი
(сверхурочно служащ. старш. фейрверкъ).

მსურველთ უნდა მიმართონ დივიზიონის სამართველოში, ელისაბედის ქუჩა, № 119, პირაგოვის ქუჩის პირდაპირ.

ქ. ოზურგეთში

იყიდება ორსართულიანი ქვითკირის სახლი ათი ოთახით.

მისამართი: ნატანების ქუჩა, დიმ. ერისთავის სახლი. (3—2)

ცეკვის კურსები

მე 27-დე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად **კავკასიური ცეკვა**. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის ქ. № 101. (5—3)

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის

კერძო სამკურნალო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, (24—23)

ბორჯომში

პროფ. დოქტ. მედიცინისა **ბ. ბ. ბოსეშვილი** იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

ექიმი **მ. შ. ფალოგლიშვილი**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ს. ა. შაშანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **ნ. ლ. ბუნიავშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბნიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით ... 10—11 საათ. დანარჩენ დროს ... 2 ს. ნიკოლოზის ... თიაქის გვერდით ...

ექიმი **ა. დ. ძეძლია**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე ბახვილაძე** იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი ქალი **ნ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი** მედიცინის დოქტორი ქენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე** ლებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა პირველი ქართული **გუპლალტერიის კურსები**
ორივე სქესისათვის წლოვანების განურჩევლად
ალ. გ. საათაშვილისა (წელიწადი მეორე)
კურსებზე შესვლა და პირობის გაგება ყოველ დღე დილის 9—12 ს. და საღ. 4—6 საათამდე. მისამართი: თფილისი, დუშეთის ქ. (1 ლი უბანი, წყნეთის ქუჩის ახლოს) სახლი № 9, ტრამვ. ვაგონები №№ 5—9. (2—1)

თფილისის სამეწადმზომელო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები პირველს გაეროვნებულ კლასში დაიწყება 8 სექტემბერს 9 ნახ. საათზე. მოწაფისთვის საჭიროა იცოდეს ქართული ენა (კითხვა და თავისი აზრის წერილობით გადმოცემა).

გამოცდა არითმეტიკაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში, გეოგრაფიაში და ბუნების მეტყველებაში ქართულ ენაზე მოხდება 1872 წლის დებულებით არსებულის საქალაქო სასწავლებლისა ანუ უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის კურსის ფარგალში.

თხოვნის მიცემა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე (გუნიბის ქუჩა № 46).

თფილისის პირველი კომერციული
სასწავლებელი

აცხადებს, რომ განმეორებით გამოცდები სასწავლებელში დაიწყება სექტემბრის 8 დან; მიღები გამოცდები მოსამზადებელში 1, 2 და მე-3 კლასებში იწარმოებს 11, 12 და 13 სექტემბერს. გამოცდების დაწვრილებითი ნუსხის ნახვა შეიძლება სასწავლებლის შენობაში. (19 თებერვლის ქ. № 2), გამოცდები დაიწყება დილის ცხრის ნახევარ საათ. მეცადინეობა კი განახლდება 15 სექტემბრიდან.

გიგიენური ახალი გამოგონება „ტერრიტ“

უახლესი საშუალება—ყოველგვარი ჭორქლის საწმენდი სიმჟავეთა დაუხმარებლად. ღირსება: **ჭორჭელს სწმენდს საუცხოოდ** და ხელებს არამ თუ აფუჭებს, პირიქით, ათეთრებს და არ ბილებს, ხელის დაბანის დროს საპონის ხმარება ზედმეტია.

იყიდება ყველგან.

ნახევარი გირვანქა ჟესტის ქილაში გაკეთებული ღირს 7 მან., უქილოდ—6 მან. დასაკვეთად მიმართეთ: თფილისი, ელისაბედის ქ. № 18, ბინა 1. (3—1)

საოფთიაქო საქონლის საწყობი
ი. გ. ლიბერზონისა

იყიდება საზღვარგარეთული საოფთიაქო საქონელი ბითუმის ფასებში.

თფილისი, გელოვსკის ქ. № 7 (კანტორა და საწყობი მოთავსებულია ეზოში) ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

თფ. პედაგოგიური ინსტიტუტი

(ყოფილი საოსტ. ინსტიტუტი), არსებული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ამ თ აცხადებს შემდეგს:

1) ინსტიტუტი შესდგება ორი საფეხურისაგან. 2) თითოეული საფეხურის კურსი ორწლიანია. 3) პირველი საფეხური ამზადებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს. 4) მეორე საფეხური ამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებელს. 5) პირველ საფეხურზე მიიღებიან ყველანი, ვისაც მთავრობის ვალთა ან ქალთა საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, აგრეთვე საოსტატო სემინარია, ან და ვინც პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გამომცდელ კომისიაში ჩააბარებს გამოცდებს (პროგრამები ინახება ინსტიტუტში). 6) მეორე საფეხურზე მიიღებიან ან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, ან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ინსტიტუტის პირველი საფეხური აქვთ გავლილი.

თხოვნები მიიღება თფილისში (პედაგოგ. ინსტიტ., დიდი მთავრის ქ. № 91) დირექტორის ბინა. (7—6)

ნატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“

იღებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, ფეხსაცმელის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (10—9)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაგვის შესახვევი № 1